



№1გ/57-17



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

13 იანვარი 2017 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი გოგინაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ელენე გოგუაძის 2017 წლის 05 იანვრის განჩინებაზე, ბრალდებულ ს. გ.-ს ადვოკატის გ. მ.-ს საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს (ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის) პირველი სამმართველოს მესამე განყოფილების წარმოებაშია სისხლის სამართლის №009130916003 საქმე ბრალდებულ ს. გ.-ს მიმართ (დაბადებული XX.XX.XXXX წელს, კ/ნ XXXXXXXXXXXX), დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹-ე მუხლის პირველი ნაწილით-ქურდული სამყაროს წევრობა.

საქმის მასალების მიხედვით, დადგენილია რომ ს. გ. არის კანონიერი ქურდის ვ. გ.-ს მეუღლე, მას სისტემატიური ურთიერთობა აქვს ქურდული სამყაროს წევრებთან და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად, კერძოდ ს. გ. ქურდული სამყაროსთვის სარგებლის მიღების მიზნით აქტიურად ეხმარება თ.-ს რესპუბლიკაში მყოფ კანონიერ ქურდს ვ. გ.-ს ე.წ „ქურდული საერთოს“ შეგროვების ორგანიზებაში და ვ. გ.-ს დავალებით ქურდული სამყაროს წევრებისა თუ სხვა პირებისაგან სისტემატიურად აგროვებდა და ინახავდა „ქურდული საერთოსათვის“ განკუთვნილ ფულად თანხებს რის შესახებაც პერიოდულად ანგარიშს აბარებდა ვ. გ.-ს და შემდგომ მოქმედებდა მისი მითითებების შესაბამისად. 2016 წლის 28 და 29 დეკემბერს გამოძიების მიერ ს. გ.-სგან ამოღებული იქნა „ქურდული საერთოს“ თანხის ნაწილი.



მოცემულ საქმეზე, 2017 წლის 04 დეკემბერს საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორმა ვაჟა თოდუამ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ითხოვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყადაღა დაედებოდა ს. გ.-ს კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, მოდელი „TOYOTA LAND CRUISER PRADO“, სახელმწიფო ნომრით- XXXXXXXX, საიდენტიფიკაციო კოდი – XXXXXXXX, გამოშვების წელი 20XX, ასევე ს. გ.-ს კუთვნილ საბანკო ანგარიშებს სს „თ.“ ბანკში და არსებობის შემთხვევაში საქართველოში რეგისტრირებულ ბანკებში გახსნილ ს. გ.-ს კუთვნილ საბანკო ანგარიშებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ელენე გოგუაძის 2017 წლის 05 იანვრის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო ს. გ.-ს კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, მოდელი „TOYOTA LAND CRUISER PRADO“, სახელმწიფო ნომრით- XXXXXXXX, საიდენტიფიკაციო კოდი – XXXXXXXX, გამოშვების წელი 20XX, ს. გ.-ს კუთვნილ საბანკო ანგარიშებს სს „თ.“ ბანკში, ასევე ყადაღა დაედო საქართველოში რეგისტრირებულ ბანკებში ს. გ.-ს კუთვნილ საბანკო ანგარიშებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში და ს. გ.-ს აკრძალა აღნიშნული ქონების განკარგვა და სარგებლობა. სასამართლომ განმარტა, რომ ს. გ.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდების გათვალისწინებით, რაც დაკავშირებულია ქურდული სამყაროს წევრობასთან, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია ყადაღა დაედოს ბრალდებულ ს. გ.-ს ქონებას, მათ შორის საბანკო ანგარიშებს, ვინაიდან არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ და ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული. (იხ:განჩინება)

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრეს ბრალდებულ ს. გ.-ს ადვოკატმა გ. მ.-მ, რომელიც ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ელენე გოგუაძის 2017 წლის 05 იანვრის განჩინების გაუქმებას, რომლითაც ყადაღა დაედო ბრალდებულ ს. გ.-ს კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებასაც.

საჩივარში მითითებულია, რომ პირველი ინტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ს. გ.-ს შეეზღუდა საკუთრების უფლება ისე რომ არ ყოფილა გადამოწმებული ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის დასაბუთებულობა. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიკვლია თავად ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა თუ რა სახის შემოსავალი/ქონება გააჩნიათ მას და მის ოჯახს და იძლეოდა თუ არა ეს შესაძლებლობას რომ ს. გ.-ს შეემინა ყოფითი საჭიროებისათვის განკუთვნილი ნივთები, მათ შორის ავტომანქანა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაცვის მხარე მიუთითებს, რომ ყადაღადადებული ავტომანქანა ს. გ.-მ შეიძინა „ბ. რ.-ს“ მიერ გაცემული კრედიტის საფუძველზე, რაც დადასტურებულია საჩივრის თანდართულ მასალებში წარმოდგენილი ხელშეკრულებებით. აღნიშნული კი ცხადყოფს, რომ ავტომანქანა შეძენილია არა დანაშაულებრივი გზით არამედ ლეგალური შემოსავლით. გარდა ამისა, ს. გ.-ს აქვს ბიზნესი რ.-ს ფედერაციაში, ასევე რ.-ს ფედერაციაში საკუთრებაში გააჩნია საცხოვრებელი ბინა რომელიც წლების განმავლობაში გაქირავებულია რაც ვერ იქნება ყურადღების გარეშე დატოვებული. შესაბამისად ადვოკატის მიერ წარმოდგენილი სახელშეკრულებო ურთიერთობებით დასტურდება ერთის მხრივ ავტომანქანის შეძენისათვის საჭირო თანხების მოპოვების საფუძველები (ბანკის მიერ გაცემული კრედიტი) და მეორეს მხრივ



აღნიშნული საბანკო კრედიტის დაფარვის საფუძვლებიც (შემოსავალი გაქირავებული ბინიდან) რაც დაცვის მხარის შეფასებით ქმნის პირველი ინსტანციის განჩინების გაუქმების საფუძველს. (იხ:საჩივარი)

საქმის მასალების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი შემოტანილია უფლებამოსილი პირის მიერ კანონით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები და თავად საჩივარი იძლევა მასში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა. შესაბამისად, საგამომიებო კოლეგიამ განიხილა რა საჩივარი და წარმოდგენილი მასალები მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადაამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას.

ამდენად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სხვა საფუძვლებთან ერთად, ითვალისწინებს ყადაღის დადებას საბანკო ანგარიშებზე, თუ იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. შესაბამისად, აღნიშნულზე უნდა არსებობდეს საკმარისი მონაცემები, ხოლო საკმარისი მონაცემების არსებობა შინაარსობრივად უთანაბრდება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. ამდენად, გამოძიების ეტაპზე ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელებისას, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების შესახებ განჩინების გაცემისას, სასამართლო ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, რომელიც მტკიცების უფრო მაღალი სტანდარტისაგან განსხვავებით, არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით, დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, აღნიშნული საგამომიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობაში.

კონკრეტულ შემთხვევაში, საგამომიებო კოლეგია იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს, რომ ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც შეეხება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს იმისათვის, რომ ზ/აღნიშნულ ყადაღადადებულ საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხები შესაძლებელია მოპოვებული იყოს დანაშაულებრივი გზით. როგორც საქმის მასალებით დასტურდება ბრალდებული ს. გ. მისი მეუღლის „კანონიერი ქურდის“ კ. გ.-ს დავალებით აგროვებს ე.წ „ქურდულ ობშიაკს“ კერძოდ, ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარების პროცესში-სატელეფონო საუბრის ფარული მოსმენა-მიყურადებისას დადგენილ იქნა რომ ს. გ.-



თან ინახება „ქურდული ობზიაკი“ რომელიც მასთან მიაქვთ სხვადასხვა პირებს ან რიცხავენ როგორც ს. გ.-ს ასევე ბრალდებულის შინამოსამსახურის- ც. კ.-ს სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშებზე. ამასთან 2016 წლის 28 და 29 დეკემბერს გამოძიების მიერ ს. გ.-სგან ამოღებულ იქნა „ქურდული საერთოს“ თანხის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით/მტკიცებულებებით დასტურდება ს. გ.-ს საბანკო ანგარიშებზე სხვადასხვა ოდენობის თანხების გადარიცხვის ფაქტები სხვადასხვა პირების სახელით, რაც იძლეოდა საფუძველს საბანკო ანგარიშებს დადებოდა ყადაღა, სხვაგვარად არსებული გარემოებების მიხედვით ვერ იქნებოდა აღმოფხვრილი თანხების მოძიების და განკარგვა/გადამალვის ხელშეშლის საფრთხეები. შესაბამისად საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ ასეთ შემთხვევაში, ყადაღა უნდა დადებოდა ბრალდებულის ყველა საბანკო ანგარიშს.

რაც შეეხება ბრალდებულის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის დაყადაღების ფაქტს, რაზეც ძირითადად აპელირებს საჩივრის ავტორი და მიუთითებს ბრალდებულ ს. გ.-სა და „ბ. რ.-ს“ შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ წარმოდგენილი მასალები დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ადასტურებს აღნიშნული დაყადაღებული ქონების კავშირსა და შემხებლობას მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან. ამ მხრივ ყურადსაღებია საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, მართალია ბრალდებულსა და „ბ. რ.-ს“ შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, ასევე საკრედიტო ხელშეკრულება ავტოგანვადებისათვის, რომლის საშუალებითაც ს. გ.-მ უზრუნველყო ავტომანქანის შეძენა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ბრალდებულს სწორედ დასახელებული სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე გააჩნია საბანკო-საკრედიტო ვალდებულებები რაც დაკავშირებულია საკმაოდ სოლიდურ თანხებთან, ბანკისათვის უზრუნველყოფაში გარანტიად ჩადებული იქნა იგივე მანქანა და არა სხვა უძრავი ქონება, რა თქმა უნდა შესაძლებელია ყოფილიყო ა/მანქანაც, მაგრამ დაცვის მხარეს რაიმე კონკრეტული მტკიცებულება ბრალდებულის/მისი ოჯახის შემოსავლის წყაროს თუ სხვა ლეგალური ფინანსური რესურსების შესახებ რითაც ს. გ. უზრუნველყოფდა ბანკში ყოველთვიური შენატანების განხორციელებას არ წარმოუდგენია და საჩივარში მითითებული არგუმენტაცია ეყრდნობოდა მხოლოდ ზეპირსიტყვიერ განმარტებებს იმის თაობაზე, რომ ს. გ.-ს რ.-ს ფედერაციაში გააჩნია ბიზნესი, ხოლო საკუთრებაში ფლობს საცხოვრებელ ბინას რომელიც გაქირავებულია. დამატებით საგამოძიებო კოლეგია მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ბრალდებული დაკავებამდე იყო უმუშევარი, მას არ უფიქსირდება შემოსავლის კონკრეტული წყარო და საქართველოში საკუთრებაში არ გააჩნია უძრავი ქონება, არ არის წარმოდგენილი ადვოკატის საჩივრის მიხედვით ასევე რაიმე ფინანსური აქტივის ან უძრავი ქონების შესახებ ინფორმაცია რაც ბრალდებულის მშობლების მატერიალურ მდგომარეობას ასახავს. ის ფაქტი, რომ ბრალდებული ს. გ. დაკავებამდე იყო უმუშევარი, მას არ უფიქსირდება შემოსავლის კონკრეტული წყარო/ფინანსური აქტივები და საქართველოში საკუთრებაში არ გააჩნია უძრავი ქონება დაუდგენელია რა ლეგალური საშუალებით უზრუნველყოფდა 2016 წლის 22 მარტიდან სესხის თანხის დაფარვას. შესაბამისად, დასახელებული გარემოებები ცალსახად მიანიშნებენ ბრალდებულის მხრიდან ყადაღადადებული ავტომობილის საფასურის ე.წ „ქურდული საერთოს“ თანხებით დაფარვის შესაძლებლობაზე ბანკში ყოველთვიური შენატანების სახით. უფრო მეტიც, ფარული საგამოძიებო მოქმედებების თუ სხვა მტკიცებულებებით მიღებული ინფორმაცია იმდენად მაღალი სტანდარტით ადასტურებს ს. გ.-ს მიერ დანაშაულებრივი გზით



მოპოვებული ქონების/თანხების ფლობის ფაქტს, რომ შემოსავლის წყაროს არსებობა თუ უძრავი ქონების მესაკუთრედ ყოფნაც კი ვერ გადაწონის საქართველოს სსსკ-ის 151-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ საჭიროებას, რომლის მიხედვითაც სასამართლოს შეუძლია ყადაღა დაადოს ქონებას თუ არსებობს საკმარისი მონაცემები რომ ეს კორუფციული, რეკეტული ან ქურდული სამყაროს წევრის ან საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონებაა ან/და იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. ასევე საგამომიებო კოლეგია მიუთითებს, რომ ქონებაზე ყადაღის დადება არ იწვევს საკუთრების უფლების გაუქმებას ან ჩამორთმევას, არამედ იგი, როგორც მხოლოდ დროებითი ღონისძიება გამოიყენება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად და გამომდინარეობს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან.

დაცვის მხარის საჩივრის მოტივს, საგამომიებო კოლეგია ვერ გაიზიარებს არასაკმარისი არგუმენტების გამო, გამოძიებას მიმდინარეობას ჭირდება სათანადო ღონისძიებების განხორციელება და არა ხელშეშლა, რათა ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნას ყადაღის გამოყენების მიზანი, დაცვის მხარის მოთხოვნა არ შეესაბამება ყადაღის მიზნების აღსრულებას და ვერ გადაწონის ბრალდებულის კუთვნილ ავტომანქანაზე და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის მოხსნის აუცილებლობას. რომ არა აღნიშნული ავტომანქანის დანაშაულებრივი გზით შეძენის შესაძლებლობა და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის გადამალვის/დახარჯვის გარემოება გამოძიების წინაშე არ დადგებოდა დასახელებულ ქონებაზე ყადაღის დადების საჭიროება. დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების გადამალვის და გახარჯვის საფრთხის აღმოფხვრის ერთადერთი ღონისძიება არის სწორედ ყადაღის გამოყენება და აღნიშნულის საწინააღმდეგოდ დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია რეალური არგუმენტები და საჩივარში შემოიფარგლა ვითარების ზოგადი მიმოხილვით, რაც ამ ეტაპზე ვერ გახდება ყადაღის განჩინების გაუქმების საფუძველი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ბრალდებულ ს. გ.-ს ადვოკატის გ. მ.-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

აქვე, საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ ქონებაზე ყადაღის დადება, როგორც დროებითი ღონისძიება, გამოიყენება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად, რომლის გათვალისწინებითაც იგი შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დაცულ საკუთრების უფლებას.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-152-ე, 156-158-ე, 207-ე მუხლებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე :

1. ბრალდებულ ს. გ.-ს ადვოკატის გ. მ.-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;



2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ელენე გოგუაძის 2017 წლის 05 იანვრის განჩინება ყადაღის დადების შესახებ დარჩეს ძალაში.

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე

გიორგი გოგინაშვილი